იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 71
წელიწადი პირველი
— 1912 —
ხუთშაბათი, 20 დეკემბ.

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ტიატურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახა, მოუსწიეთ ჭაჭიროსი

15 ცალი 6 კ.
„ა ნ ი“
25 ცალი 2 შაურათ

აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი“.

ახა, მოუსწიეთ ჭაჭიროსი

20 ცალი 1 შაურათ
„ბელაია რომაშკა“
20 ცალი 1 შაურათ

აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი“.

ფართლეულობის ვაჭრობა „რომანოზ ქაიხოსროს-ძის მახარაძის“ ვორონცოვის ქუჩაზე

პირველი ქრისტეშობისთვიდან მოკლე ვადით ნიშნავს

დიდ იაფ ვაჭრობას

ყოველგვარ საზამთრო ფართლეულისას, როგორც შალეულობისა, აგრეთვე ბამბეულისას, რომლის ფასებში პატივცემული მუშტრები დიდს განსხვავებას დაინახავენ.

პატივისცემით **რომანოზ ქ. მახარაძე.**

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. **გაყიდვა დაიწყება დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთ. ბულვარის პირდაპირ. ძმ. **ოცხელების** შენობაში **ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში**, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: **კაცის** ყოველნაირი მშვენიერი **კასტუმები** 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; **კაცის, ქალისა და ბავშების** ყოველნაირი **პალტოები** ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, **ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების** საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით; **კალოშები**, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წივსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წივსაკრავი ქალთა და ბავშთათვის. **სამუსიკო იარაღები სასიამოვნო ნოტებით**, კორსეტები და სხვა **ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას**, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველ დღე.

ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ. პატივისცემით **ა. ახვლედიანი.**

ОБЪЯВЛЕНIЕ.

Кутаисское А-во Русскаго О-ва Пароходство и Торговли симъ объявляетъ, что 20 декабря сего 1912 года въ складѣ его на Воронцовской ул., въ домѣ П. Габунія будутъ продаваться **съ аукціоннаго торга** **мануфактурные товары,** прибывшіе изъ Лодзи и Москвы по коносаментамъ отъ 8-го іюня и 1-го сентября 1911 г. за №№ 835 и 3315 и отъ 8-го сентября и 24-го и 28-го августа сего года за №№ 3162, 1895 и 1937, непринятые грузохозяиномъ въ установленный §§ 809 и 810 уст. О-ва срокъ.

Желающіе торговаться могутъ осмотрѣть продаваемые мануфактурные товары въ самый день торга.

განცხადება.

რუსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების ქუთაისის სააგენტო ამით აცხადებს, რომ 20 დეკემბერს, ამა 1912 წელს ვარანცოვის ქუჩაზე, ფარნა გაბუნიას სახლში მისი საქონლის საწყობში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა.

გაიყიდება ფართლეულობის საქონელი, რომელიც გამოგზავნილია ლოძიდან და მოსკოვიდან კონოსამენტებით 8 ივნისსა და 1 სექტემბერს 1911 წ. №№ 835 და 3315. ამ წლის 8 სექტემბერს, 24 და 28 აგვისტოს №№ 3162, 1895 და 1937, და რომელიც საქონლის მიმღებმა საზოგადოების 809 და 810 §-ის ძალით თავის დანიშნულ დროზე არ გამოიყიდა. ვაჭრობის მსურველებს გასაყიდი საქონლის დათვალიერება შეუძლიათ თვით ვაჭრობის დღეს.

ორშაბათიდან, 3 ქრისტეშობისთვიდან ვიდრე 24 დეკემბრამდი

სავაჭრო სახლი

ა. მ. ვართანოვი და ამხ.

ნიშნავს

დიდ საშობაო იაფ ვაჭრობას.

კვირას, 23 დეკემბერს ქუთ. ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება

ურიელ აკოსტა

ტრ. 5 მოქმედ. თარგმანი ბაქრაძისა.

ურიელ აკოსტას როლს შეასრულებს ვ. ალექსი—მესხიშვილი

რეჟისორი მ. ქორელი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

განცხადება.

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო

ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1913 წ. მარტის 24 დღის 12 საათზე დანიშნულია ვაჭრობა როგორც სიტყვიერი, აგრეთვე დაბეჭდილი წერილობითი განცხადების საშვალებით იჯარით გაცემაზე თოფურიასეული სახლის გადაკეთებისა და ზედ სართულის დაშენებისათვის, რომ ბანკის ბინათ გამოდგეს, რისთვისაც გადადებული ორმოცდა ათი ათასი მანეთია.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, ვაჭრობის დღეს 12 საათამდი უნდა შემოიტანონ ამის განცხადება ბანკის გამგეობაში და თან წარმოადგინონ მოწმობა თავის წოდებისა და საიჯარო ჯამის მეათედი ნაწილი ბეთ ან ნაღდ ფულათ ან სარგებლიანი ქაღალდებით.

დაბეჭდილ განცხადებაში ფასი სიტყვებით უნდა იყოს დაწერილი და ისიც, რომ მოიჯარადრე მზათ არის იკისროს ყოველივე ხარჯთაღრიცხვისა და პირობების მიხედვით.

იჯარის პირობა დამტკიცდება და შეიკვრება, როცა ხსენებული სახლის გადასაკეთებლათ შემდეგ [illegible] ვისაც სურს [illegible] და პირობები შეიტყოს ამ საქმისა, შეუძლია მიმართოს ბანკის გამგეობას ყოველ დღე დილის 9 საათ. დღის 2 საათ. გარდა კვირა უქმი დღისა.

ГОРОДСКОЙ ТЕАТРЪ

въ субботу 22 декабря, въ 8½ ч. вечера

состоится лекція

бывшаго товарища предсѣд. I Государств. думы

ПРОФЕССОРА НИКОЛАЯ АНДРЕЕВИЧА

ГРЕДЕСКУЛА

Національный вопросъ на западѣ и въ Россіи.

билеты продаются въ кассѣ театра.

შაბათს, 22 დეკემბერს, საღამოს 8½ ს. I სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარის ყოფილი ამხანაგი პროფესორი **ნ. ა. გრედესკული** წაიკითხავს ლექციას **ნაციონალური საკითხი დასავლეთსა და რუსეთში.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.



დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის სახელის თამბაქოს ქარხანა

ნ. ს. ბოზარჯიანცის

შვ-სა. თფილისში.

მაქციეთ ყურადღება საფაბრიკო მარკას.

რომ დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილება ჩვენი თამბაქოს მომხმარებელთა, რომელთა რიცხვი თანდათან მატულობს, ჩვენ რამდენიმე ახალი მანქანა შევიძინეთ.

ამჟამათ დიდი გასავალი აქვს ყოველ დღიურათ: „**სიმპატია**“ და „მე-8 №“. 10 ცალი 6 კაპ. გადის 500,000 ც. „**დრუჟბა**“ და „**ტოვარიშჩ**“ 20 ცალი 5 კ.—700,000 ც. მარტივი და იაფი გასახვევი ხელს გვაძლევს, რომ საუკეთესო ღირსების საქონელი მივაწოდოთ. ფირმის პაპიროსები ყველგან იყიდება. უფთხილდით უსირცხვილო სიყალბეს. ფირმა არსებობს 1858 წლიდან.

ეტიკეტის სიყალბეს კანონი სასტიკათ სჯის.

ფართლეულობის მაღაზია

ქუთაისში **ზ. ს. ბუტულოვისა** ქუთაისში

გიმნაზიის ქუჩა, ს. რიჟინაშვილისა. ბულვარის პირად.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას რომ ამა დეკემბრის 8—24-ინ ვნიშნავთ

საშობაო დიდ იაფ-ფასიან ვაჭრობას

პატივისცემით ზ. ს. ბუტულოვი.



ПАПИРОСЫ ЭКСТРА 15 шт. 6 коп. ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ПАПИРОСЫ

ГОЛУБКА 10 шт. 3 коп.

ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА ПАПИРОСЫ ИНТЕЛЛИГЕНТНЫЯ ЦѢНА 25 шт. 15 к. 10 ш. 6 к. 100 ш. 60 к.

ახლადგახსნილი, სამანუფაქტ. მაღაზია

გ. დ. კაქკაჭოვისა.

(გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ).

საზოგადოების თხოვნით დიდ

იაფვაჭრობას

ვაგძელებ 25 დეკემბრამდი.

სადაც გაიყიდება მაუდების, შალების, აბრეშუმების, ტილოებისა და ბამბეულობის მასალა, „ფაჩაები“, თეთრეულები, ტიულის ფარდები და შეკერილი „რუბაშკები.“ „ფატერიები“, მაგიდის თეთრეულები, ტიულის ფარდები და შეკერილი „რუბაშკები“ საზოგადოება სები ქარხნებისაა და მასთან უვაჭროთ. ვიმედოფ, რომ პატივცემული საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას საქონლის სიაფეს და მით ისარგებლებს შემთხვევით

პატივისცემით გ. დ. კაქკაჭოვი

ა ბ ი ლ ი ს

ექიმი ა. დ. აბაშიძის ასული **ჭიჭინაძისა** იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი, თფილისის ქ. ინჯიას სახლი.

ექიმი. ვ. დ. ნასარიძე ძმისა და ე. დ. ნასარიძის ასული გადვიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

ექიმი ი. ჩარექოვი. იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7. ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

ექიმი ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

ექიმი ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

დღიური.

მშვიდობიანობის კრებაზე ბულგარეთის დელეგატები დაჟინებით აცხადებენ: თუ ოსმალეთმა ადრიანოპოლი არ დაგვითმო, ომს განვაახლებთო.

— სტამბოლს იაპონიიდან სანიტარული რაზმი მივიდა.

— რუსეთში მცხოვრებ მამადიანებს დაჭრილ ოსმალთა სასარგებლოთ გაუღიათ 39,731 მანეთი.

— ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჩატალჯაში ნაზიმ-ფაშას აცნობა საომრათ მოემზადენითო.

— ოსმალეთი რომ მოკავშირე სახელმწიფოებს ადრიანოპოლს არ უთმობს, ეს ავსტრიის პოლიტიკის წყალობაა.

— რიგის ქალაქის საბჭომ რომანოვების გვარეულობის 300 წლის შესრულების გამო 422 ათასი მანეთი გადადვა.

— სრულიად რუსეთის სახლის გამქირავებელთა კრება მოხდება მოსკოვში მომავალი წლის აპრილში.

— უწმიდესმა სინოდმა ილიოდორეს ღვდლის ხარისხი ჩამოართვა.

— დააჯარიმეს „რეჩი“ 500 და „რუსკაია მოლვა“ 250 მანეთით.

— პროგრესისტებმა პეტერბურგის საშუალო შკოლებში არეულობის შესახებ სათათბიროში შეკითხვა შეიტანეს.

— ერთი კვირის განმავლობაში ხერსონის მაზრაში 16 კაცმა თავი მოიკლა.

— ოსმალეთის ერთმა დელეგატმა სთქვა: ადრიანოპოლი ჩვენთვის იგივეა რაც რუსეთისათვის მოსკოვი და შეუძლებელია ის სხვას დავუთმოთო.

— 351 დეპუტატი ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა.

— პეტერბურგის საშუალო შკოლების დაპატიმრებულ მოწაფეებს კასოს განკარგულების ძალით, საქმის გამოძიებამდი არ მიიღებენ.

— ზოგი რუსი აფიცერი ბულგარეთის ჯარში ჩაირიცხა.

— ბულგარეთის მეფემ ფერდინანდმა ხონთქარისაგან დეპეში მიიღო. ფერდინანდს ხონთქარი ატყობინებს—ადრიანოპოლს ვერ დაგითმობთო.

— კოკოვცოვმა დიდი ამბით იდღესასწაულა თავის სახელმწიფო სამსახურის 40 წლის თავი.

რედაქციისაგან.

უღრმესი მადლობის მეტი რა გვეთქმის იმათ მიმართ, ვინც ჩვენ გაზეთს ქალაქ-დაბა-სოფლებიდან დასაბეჭდ მასალას აწვდიან, ეს მადლობა ორკეცდება იმით კიდევ, რომ ამ მასალას უსასყიდლოთ გვიგზავნიან. ცხადია პატივცემულ პირთ ესმისთ პრესის დანიშნულება და მიტომაც გვაწვდიან ცნობებს ჩვენი ქვეყნის ჭირვარამისა და ლხინის შესახებაც, ვუსურვებთ კვლავაც განეგრძოთ ასეთი შრომა, მაგრამ ეს საქმე რომ უკეთ მოეწყოს, მადლს მარილიც მოეყაროს, ერთი სათხოვარი გვაქვს ყველასთან, ვინც კი საგაზეთო მასალების მოწოდებას არ დაიზარებს ჩვენთვის.

პირველი საქმე, რასაკვირველია, რომ ცნობები უტყუარი იყოს, ფაქტები, დასაბუთებული, რომ არც წვადი დაიწვას, არც შამფური:—რედაქცია შეცთომაში არ შეიყვანონ და მით გაზეთმაც საზოგადოებას სწორი ამბავი მიაწოდოს.

რა ზომისა და რა სახისაც უნდა იყოს მოწოდებული მასალა, ავტორის სახელი და გვარი აღნიშნული უნდა იყოს წერილზე, თან მისამართიც, და იქვე მოხსენებული იყოს ფსევდონიმიც, ნაცვალი სახელი, თუ ვინიცობაა, ავტორს არა სურს ამა თუ იმ საბუთიანი მიზეზის გამო თავისი ვინაობა გამოამჟღავნოს.

წერილი დაწერილი უნდა იყოს ქაღალდის თაბახის ერთ გვერდზე, ცალ პირზედ, რამდენათაც მოსახერხებელია, გარკვეულათ, ადვილათ წასაკითხავი. ყოველი ეს შრომას უადვილებს მასალის გადამკითხველსაც და ასოთ-ამწყობიც არ გაწვალდება—ამით კი, ცხადია, შემცირდება ის აუარებელი კორექტურული შეცთომა, რომელსაც დღეს მკითხველი ხშირათ ხვდება ჩვენს გაზეთში.

გაზეთის მასალას უნდა ქონდეს საზოგადო მნიშვნელობა. მოერიდოს ყველა გაზეთის საშვალებით საპირადო ანგარიშის გაწმენდას, განზრახ პირადობის შეურაცხებას და ერთსა და იმავეზე დაუსრულებელ კამათს, პასუხებს, პასუხის-პასუხებს და კიდევ პასუხებს. ამ გარემოებას ის მოსდევს, რომ რედაქცია ხშირათ გაწვალებულია შეკითხვებით—რატომ პასუხს არ გვიბეჭდავთო...

აგერ იწურება ეს ერთი წელიწადიც, გადავდივართ ახალში და რედაქციაც უსურვებს თავის თანამშრომელთ ამ სახით განახლებულს და ნაყოფიერ შრომას, რომ ამით ხელი შეუწყონ ჩვენს ღარიბ პრესას და სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებასაც.

მოვუწოდებთ ქალაქ-დაბა-სოფლად მცხოვრებ შეგნებულ პირებს — ქვეყნის წინაშე პირნათლად აასრულონ ეს ვალი და ხელი შეგვიწყონ, ჩვენც პირნათლად ვიბრძოლოთ ამ მძიმესა და პასუხსაგებ ეკლიან ნიადაგზე.

„მერცხლის“ პუბლიცისტიკა.

უცნაური პუბლიცისტები ყავს გაზ. „მერცხალს“. ვერ გამიგია, რა ღმერთი უწყრებათ: რაც დრო მიდის, სულ უკან-უკან მიდიან აზრისა და შინაარსის მხრით და იმავე დროს თანდათან ემატებათ გამბედაობა და თავხედობა. ამოუჩემებიათ „სახალხო გაზეთი“, „იმერეთი“ და დეპუტატი გელოვანი. სხვა მასალა არ მოეპოებათ. საცოდავებს გინება და გონება-მახვილობა ერთი და იგივე გონიათ!

ამართლებენ გეგეჭკორის საქციელს და გვიმტკიცებენ კარგი საქმე ქნა, პეტერბურგის გაზეთებში რომ აქაური ბრძოლის ამბები გამოახიახა. არ ესმისთ, რომ გეგეჭკორმა თავისი შეუფერებელი საქციელით არა თუ აქაური სოციალდემოკრატია შეარცხვინა, არამედ მთელს დემოკრატიას შეურაცხყოფა მიაყენა. მერე კიდევ, რა დასაქადებელია გლეხების უმეტესობა რომ „დასელებისკენ“ იყო?! შეუგნებელ უმეტესობას განა შეგნებული უმცირესობა არ უნდა გერჩიოს?! და რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს იმ უმეტესობას, რომელიც ხვალ თუ ზეგ თოვლივით გადნება და უმცირესობათ შეიქნება?!

მგონია ჩვენი „დასელებიც“ ველარ დაფიცვენ, რომ ინტელიგენცია მათ უკვე ჩამოშორდა. და, თუმცა თავს იმით ინუგეშებენ, ვითომ „ეს ასეც უნდა მომხთარიყო, რადგან ინტელიგენცია წვრილი ბურჟუაზიის ნაწილს წარმოადგენსო“, მაგრამ, ნათქვამი რომ არის, „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“, ვფიქრობ, ისინიც იმ კატის სიტყვებს იმეორებენ.

მართლაც, გერმანიის სოც.-დემოკრატები თუ იქადიან, ინტელიგენცია გადმოვიბირეთო, რაღა ჩვენი „დასებისთვის“ შეიქნა უსარგებლო მეტხორცი და ასე გაშინჯეთ, მავნებელიც კი. მაგრამ ცოტა არ იყოს, ეჭვი მებადება მათი აღსარების სიწრფელობაზე; როცა თითო-ოროლა ინტელიგენტი მათი მირონით ინათლება, კერპათ რომ ხდიან და უზომოთ ეფერებიან, ეს ფაქტია, ეჭვს რომ მგვრის.

და, გავიმეორებ, როგორც ინტელიგენცია ჩამოშორდა ხსენებულ „დასს“, ისე ხალხის უმეტესობაც ჩამოშორდება და ეს წამიც, ვგონებ, შორს აღარ არის.

„დასელები“ რომ საქართველოს ავტონომიის უარყოფენ, ამ ფაქტს უკვე შევეჩვიეთ და წინათ თუ სულს გვიმწარებდა მათ მიერ ეროვნული იდეალის უარყოფა, ახლა აღარ გვაკვირვებს. და კარლო ჩხეიძემ და გეგეჭკორმა რომ სათათბიროს კათედრიდან პოლონეთის ავტონომია დასწიხლეს, ეს კი მოულოდნელი იყო, როგორც ჩვენთვის, აგრეთვე პოლონეთის სოციალდემოკრატიისთვის. მართალია, მას შემდეგ გეგეჭკორმა თავის გამართლება მოინდომა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია: ის მხოლოდ პოლონელ კოლოს სდებდა ბრალს, თავისი საქციელი კი სულაც არ უხსენებია.

„მერცხალი“ კი გეგეჭკორს ღვაწლათ უწერს ხსენებულ საქციელს (იხ. № 7, წერილი თქვენი ნაცნობისა“). ამ უცნაურ წერილში ქებით მოხსენებულია კარლო ჩხეიძის მიერ სათათბიროში ნათქვამი სიტყვები: „ვიდრე პოლონეთში არ შეიცვლება პრივილეგიური კლასების დამოკიდებულობა პოლონეთის პროლეტარიატის დემოკრატიული მოთხოვნილობათამდი, პოლონეთი ავტონომიას ვერ იხილავს“.

მაგრამ ამ სიტყვებში ხომ პოლონეთის ავტონომიის უარყოფა ჩანს! პრივილეგიური კლასები, ე. ი. არისტოკრატია და მდიდარი ბურჟუაზია, არაოდეს არ იქნებიან პროლეტარიატის მეგობრები. და ნუთუ ამიტომ ხალხი უნდა დაისაჯოს და ავტონომიას არ უნდა ეღირსოს?! რაც შეეხება პოლონელ კოლოს, მის ორპირობას არავინ არ ამართლებს, მაგრამ მისი დანაშაული რა ხალხის ბრალია ან რა გასამართლებელი საბუთია „დასელებისთვის“?! დიახ! ისტორიაში გეგეჭკორსა და კარლო ჩხეიძეს უდიდეს დანაშაულათ ჩაეწერება, კოლოს საქციელი რომ პოლონეთის ავტონომიას დაუკავშირეს, ე. ი. კოლოს „ჯინაზე“ რომ პოლონეთის ავტონომია უარყვეს.

ეჰ! რა „თაგუნების“ და „ვირთაგვების“ საქმეა პოლიტიკა!! ნეტაი რისთვის წრიპინობენ?!

ურო.

ქართველი დეპუტატები და სათათბირო.

დეპ. გელოვანის პასუხი ჩხენკელის სიტყვაზე.

დეპუტატმა ჩხენკელმა სრულიად უადგილოთ დაიწყო ლაპარაკი სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან იმის შესახებ, რომ დეპ. გელოვანი გლეხ-კაცობის წარმომადგენელი არ არის. ამის საპასუხოთ დეპ. გელოვანს დახლოვებით შემდეგი უთქვამს: „საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენათ საფუძვლიანი, სამართლიანი და რიგიანი იყო ასეთივე განცხადება ჩემი იდეიური მოწინააღმდეგებისა სტახტო გაზეთის ფურცლებზე,—ორივე მხრის თანხმობით გადაეცა სამედიატორო სასამართლოს. მოსამართლეები უკვე ავირჩიეთ. ამორჩეულ მოსამართლეთა უმაღლესი ავტორიტეტი უზრუნყოფს მსჯავრის სამართლიანობას. ამ მსჯავრს ჩვენ უნდა დავემორჩილოთ. ამისდა მიუხედავათ ამ შინაურ, ადგილობრივ პარტიულ დავის გამოტანა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე, გადაქცევა უმაღლეს კათედრისა პარტიულ და პირად ანგარიშების გასასწორებელ კათედრათ მე მიმაჩნია ურიგობათ არა მარტო ჩემსა და იმ პარტიისადმი, რომელსაც მე ვეკუთვნი, არამედ არჩეულ სასამართლოსადმიც. ამიტომ პირადათ ჩემსა და ჩემი პარტიის სახელით პროტესტს ვაცხადებ ჩემი თანამემამულის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ“. მთელი სათათბირო, გარდა სოციალ-დემოკრატებისა, ამ პროტესტს ტაშის კვრით შეხვდა.

შეკითხვა კავკასიის შესახებ და სოციალ-დემოკრატები.

ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რომ დეპ. ვარლამ გელოვანის ინციატივით სათათბიროში შეტანილ იქნა შეკითხვა იმის შესახებ თუ როდის აპირებს მთავრობა დაპირებულ რეფორმათა განხორციელებას ამიერ-კავკასიაში. როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, სოციალ დემოკრატებს უარი უთქვამთ და შეკითხვაზე ხელი არ მოუწერიათ. უარს ერთი იმათგანი იმით ასაბუთებს, რომ შეკითხვის თაოსნობა ეკუთვნოდა დეპუტატ ვარლამ გელოვანს.

კავკასიელი დეპუტატების კრება.

დეპ. ვარლამ გელოვანის თაოსნობით გაიმართა კავკასიელ დეპუტატების კრება. კრების მიზანი იყო საერთო მოქმედების გეგმის შემუშავება. კრებაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა დეპუტატებმა: დელეგატმა (დაღესტნისა), ჯაფაროვმა (მაჰმადიანი), ნიკოლაევმა (ჩერნომორის გუბერნია) და გელოვანმა (ქუთაისის გუბ.) უეჭველია, მონაწილეობას მიიღებს სომეხი პაპაჯანოვიც, რომელიც ამ ჟამათ ავათ არის. დეპ. გელოვანს მიანდვეს თავჯდომარეობა. დასელები ჩხენკელი და ჩხეიძე ამ ჯგუფში არ შევიდნენ.

(ს. გ.)

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

18 დეკემბერს მოხდა ქალაქის საშკოლო კომისიის სხდომა ქალაქის გამგეობისა და აგრეთვე ზოგიერთ ამ სხდომაზე მოწვეულ ცნობილ პედაგოგთა თანდასწრებით. მზრუნველის წინადადების გამო სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსების შესახებ კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს, რომ ასეთი ინსტიტუტი დაარსებულ იქმნას ქუთაისში, რისთვისაც ქალაქი სწირავს 2000 კვ. საჟენს საღორიის აგარაკში და ქვა-სილას სასწავლებლისათვის საჭიროს და გარდა ამისა 15 ათას მანეთს, რომელიც ათი წლის განმავლობაში უნდა გადახდილ იქმნას. ამავე სხდომაზე სახალხო შკოლების დირექტორის წინადადება ბალახვანის ქუჩაზე პირველდაწყებითი შკოლის დაარსების შესახებ უარყოფილ იქნა უსახსრობისა გამო.

— ქალაქის შკოლებსა და დირექციის შორის ამტყდარი ინციდენტის გამო გ. ი. გველესიანმა ვრცელი მოხსენება წარადგინა, რომელიც საშკოლო კომისიამ ერთხმათ მიიღო.

✦ ჭიათურიდან ნოემბრის თვის განმავლობაში გაზიდულია 5.319.500 ფუთი შავი ქვა.

ბათომის ნავსადგურიდან ამავე თვეში გაიზიდა სამზღვარგარეთ 995.915 ფუთი შავი-ქვა, ფოთიდან კი 3918152 ფუთი.

✦ აქიმები სავლე წერეთელი და ნიკ. გამრეკელი თხოულობენ ჭიათურის საავათმყოფოში მესამე აქიმის ადგილს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა აცნობა შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს – მან განკარგულება მოახდინა, რათა შორაპნის მაზრის უფროსმა ყოველგვარათ ხელი შეუწყოს, როცა დაბა-ჭიათურაში აღწერას შეუდგებიან.

✦ კვირას ვლ. ალექსი-მესხიშვილის გასტროლია ქუთაისის თეატრში დანიშნული. წარმოადგენენ გუცკოვის—„ურიელ-აკოსტას“.

✦ „სტარო ლაგირნაია“ და ქვიტირის ქუჩები დიდი ხანია ერთ დიდ ტალახის ზღვას წარმოვდგენს. ამ ქუჩების ღარიბ მცხოვრებლებს გვეგონა დღეს ან ხვალ ქალაქის მამები ყურადღებას მოგვაქცევ-

პეტერბურგის შთაბეჭდილებანი.

დღევანდელ მომენტში პეტრეს ქალაქი, ვით დედა ქალაქი რუსეთისა საინტერესოა იმდენათ, რამდენათაც რუსეთის პოლიტიკური სხეულის მაჯა იქა სცემს. პეტერბურგი ვერაფრით ვერ გაგაკვირვებთ და მოგხიბლავთ, კულტურულის სანახაობით იგი ბევრათ უფრო დაბლა სდგას, რომელზეც გნებავთ ეროვნულ დიდ ქალაქზე. მაშასადამე, რუსეთის იმპერიის მცხოვრებს პეტერბურგი იზიდავს მით, რომ იქ უნდა გადადუღდეს და გადაიხარშოს დღევანდელი რუსეთის ცხოვრება.

სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეებს დავესწარი იქ და ზოგიერთი შესანიშნავი დეპუტატი ვნახე. პირველივე საკითხი როძიანკოს თავჯდომარეობის შესახებ აღიძრა: დეპუტატი, რომელსაც მე ვებაასებოდი კადეტი იყო და ფრიად ცნობილი წევრი თავის პარტიისა.

რატომ ინებეთ როძიანკოს ამორჩევა!—,,ვუთხარი მე. ქვეყანა ზურგს უბრუნებს ოკტომბრისტებს. ისეთი წრეც კი, როგორიც მოსკოვის ვაჭრები არიან კადეტებს უჭერენ მხარს და დემონსტრატიულათ აშავებენ ოკტომბრისტების ლიდერს. თქვენ კი ლაფიდან ამოგყავთ ოკტომბრისტები და გატეხილი მათი სახელი გსურთ გაამთელოთ. მთელი ქვეყანა, თვით უკიდურესი მემარცხენენიც კი კადეტებს პატივს სცემენ, როგორც ერთადერთ პარტიას, რომელსაც დასახული აქვს მიზნათ დემოკრატიული რეფორმების განხორციელება და თქვენ ქვეყნის დემოკრატიას როძიანკოს არჩევით უგებთ პასუხს და გიხარიათ, რომ იგი თავჯდომარეთ აირჩიეთ. ჩემის აზრით იმ შემთხვევის გამო ერთადერთი ჭეშმარიტი აზრი ცნობილმა ,,კოლოკოლმა“ გამოსთქვა. ხომ გახსოვთ, გაიკვირვა, რით გიხაროდათ თქვენ, კადეტებს, როძიანკოს გამარჯვება. შარშან შავები მიაყარეს, წელს კი კადეტებმა იკისრეს მისი გათეთრება. აქიდან მარტო ის დასკვნა უნდა გამოიტანოს კაცმა, რომ კადეტებმა მარჯვნით გადიხარენ და არა ოკტომბრისტებმა მარცხნითო და მაშასადამე სათათბიროს მარჯვნით გადახრის შესახებ შეიძლება ლაპარაკიო.

— რა უნდა გვექნა ამ შემთხვევაში —მიპასუხა დეპუტატმა. სათათბიროს უნდა ყავდეს პრეზიდიუმი და თუ ჩვენ იმას მივაწიეთ, რომ პრეზიდიუმში მემარცხენე ელემენტები გავაძლიერეთ, ესეც საქმეა. გარდა ამისა პირველივე ნაყოფი ჩვენი მოქმედებისა ფრიად დიდმნიშვნელოვანი გამოდგა: როძიანკოს სიტყვა—ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტია და როგორც ვიცით ეს სიტყვა მოწონებით მიიღეს ,,სფეროებში''. ეს ხომ კიდევ უფრო შესანიშნავია: ეტყობა, იქაც ანგარიშს უწევენ საზოგადოების მარცხნისაკენ გადახრას. როძიანკომ პირადათ ამ უკანასკნელ დროში ოთხიოდე ისეთი ვაჟკაცური აქტი აღასრულა, რომ იგიც ღირსი იყო ხაზის გასმისა: მან არ შეიტანა უწყებაში უკანასკნელ სხდომებზე გასარჩევათ სამრევლო შკოლების საგანი, თუმცა მას ეს ,,ნაბძანები'' ქონდა; მან მოახსენა ვისაც ჯერ არს რასპუტინის საქმენი საგმირონი; მოსკოვის საიუბილეო დღესასწაულები მიატოვა, რაკი დაინახა, რომ მას, როგორც სათათბიროს თავჯდომარეს შესაფერისი პატივისცემით არ მოეპყრენ, და უკანასკნელი არჩევნების დროს მან მხარი დაუჭირა კადეტებს და ესდეკებს და იბრძოდა მემარჯვენეების წინააღმდეგ და კიდევაც გაიყვანეს კადეტი და ესდეკი მემარჯვენეების მაგიერ. ყველა ეს დაფასებულია. ჩვენ ხომ არ წავიღოდით დუმის თავჯდომარეთ, რომც მოგვენდომებია ეს არც შეიძლებოდა დღევანდელ ძალთა განწყობილების გამო სათათბიროში ისიც კარგია, რომ როძიანკოს ამორჩევით ჩვენ გავთიშეთ მარჯვენა და მარცხენა ნაწილი და ოკტომბრისტებს აშკარათ მარცხენა ბანაკში დავაჭერიეთ ადგილი.

— ყველა ეგ მე მგონია ოკტომბრისტების სასარგებლოა ამ წუთში. არ გეშინიათ, რომ გიღალატოსთ ოკტომბრისტებმა, როგორც ეს მოსალოდნელია და პრეზიდიუმში ერთი კიდეტიც არ გაიყვანონ და თანაც შემდეგში ისევ დაუახლოვდენ მათ სულიერ მოკავშირე მემარჯვენეებს. მაშინ, რაღას ეტყვით ქვეყანას? ოკტომბრისტებს შერჩებათ სახელი და ერთადერთი სადღესასწაულო პარადი, თქვენ კი საყვედურები და გაკიცხვა. ხომ თვით კარგათ იცით, რომ ქვეყანა თქვენ—კადეტებსა გთვლისთ „პასუხისმგებელ ოპოზიციათ'' და ეს სახელწოდება მგონი თქვენც სიამოვნებით გაქვთ მიღებული.—

— რას ვკარგავთ? ჩვენს პოზიციას თავის დღეში არ ვუღალატებთ თუ—ოკტომბრისტები კიდევ ჩაწვებიან ,,ლაფში'', როგორც თქვენ ბძანებთ, მაშინ ჩვენ მათ საქციელს ქვეყანას ვამხილებთ და კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ, რომ ოკტომბრისტების გასწორება სამარესაც კი არ შეუძლია.

— ეს თავიდანვე უნდა გცოდნოდათ და ეს რომ ასე იქნება უეჭველია. განა ოკტომბრისტები განირჩევიან ფსიხოლოგიურათ ან იდეურათ იმ ბიუროკრატიისაგან, რომელსაც ვითომ ომს უცხადებენ? ან რა იქნება მათი ,,კონსტიტუცია'' უეჭველათ სტოლიპინის რეჟიმის დაკანონება, 3 ივნისის არჩევნების კანონის დადასტურება; უფრო შორს ეგენი ვერ წავლენ, ეს ჩემზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ.

— თქვენი დეპუტატის მდგომარეობა, როგორც ვატყობ უხერხული იქნება. მშრომელთა ჯგუფი ხომ მცირეა ძალიან და რა უნდა მოახერხოს.

— მე მგონია, ჩვენი დეპუტატის მდგომარეობა ჯერჯერობით ძალიან კარგათ არის: როძიანკოს დღესასწაულში მაინც არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ხუმრობა გაშვებით იყოს: ჩვენი დეპუტატის უმთავრესი მოვალეობაა ქართველი ერის შელახული უფლებების შესახებ აღამაღლოს ხმა და მე არა მგონია ამ საკითხში არა თუ კადეტებმა, ან პროგრესისტებმა შეუშალონ ხელი. საქართველოს საკითხი მძიმე სინიდისის საკითხია, რომელიც ვალათ აწევს რუსეთს და მით უმეტეს მის შეგნებულ ნაწილს. მე დარწმუნებული ვარ, ამ საგანში ჩვენს დეპუტატს მხარს დაუჭერს მთელი მარცხენა ნაწილი დუმისა.

— რასაკვირველია, რასაკვირველია—მითხრა დეპუტატმა, გარდა ქართველი ესდეკებისა განვაგძე მე, რომელთაც ფიცი აქვთ მიცემული სომხის ბურჟუაზიისათვის ქართული საკითხი არ წამოაყენონ რა და მას არასდროს მხარი არ დაუჭირონ. ეს მძიმე საფასური გაიღეს მათ დეპუტატობის სავარძელში. უეჭველია მათ სწამთ, რომ ქართველი ერის ბედნიერება უზრუნველყოფილია, თუ ჩხეიძეთა და ძმანსა მათსა ტაკიმასხრობის მოძრაობის როლი აღასრულეს სათათბიროში. მართლაც ჩვენში გარეგანის მხრით თითქო იგივე გამეორდა, რაც ვარშავაში, მაგრამ არსებითად ებრაელი ბურჟუაზია

ენ, მაგრამ დღემდი არაფერი საიმედო ა სჩანს. კარგი იქნება, თუ დროით ოგვეშველებიან, გვიპატრონებენ...

✦ თფილისის სასამართლო პალატაში არჩა ნ. ჟორდანიასა და ჰ. კალანდაძის ლიტერატურული საქმე. კალანდაძეს ერთი თვის ციხე მიუსაჯეს, ნ. ჟორდანიას საქმე კი გადადვეს.

✦ 23 დეკემბრიდან თფილისში გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ახალი დროება.“ სოფ. მგალობლიშვილის რედაქტორობით,

✦ დუშეთის მაზრის უფროსის უფროს თანაშემწედ დანიშნეს მცხეთის ბოქაული მ. დუმბაძე.

✦ საჭიროა ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ბალახვანის ქუჩაზე ერისთვის გადასახვევს: ქუჩაზე ტბები სდგას და ყოვლად შეუძლებელი ხდება სიარული. მცხოვრებნი შუაგულ ქუჩაზე ათასგვარ სიბინძურეს ყრიან: ნაგავს, ნაცარს და სხვა.

მოწერილი ამბები.

ს. აბაშა. (ოდიში).

სამარხი კასის გამგეობის ერთი წევრი ფარნა დგებუაძე აცხადებს: იმ 250 მანეთის შესახებ, რომელიც კასის დახურვას შემდეგ დარჩა, მე არაფერი ვიცი, რადგანაც გამგეობის წევრობას რამდენიმე დღეს შემდეგ დავანებე თავიო.

ს. მუხურა. (ზემო იმერეთი).

სოფელში 5 ამ თვიდან ცუდი ამინდებია. გრიგალმა და ქარიშხალმა ზ. ბუიძეს სახლკარი დაუნგრია. ბუიძეს ოჯახობა დღეს უსახლკაროთ ცის ქვეშ არის დარჩენილი.

ახალსენაკი (ოდიში).

17 ნოემბერს ქ-ნებმა ჭკუდუასამ და მხვიძისამ აქ საღამო გამართეს. საღამო ადგილობრივ შკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ იყო. საღამომ წმინდა შემოსავალი დასტოვა 121 მან. 13 შ.

ამბროლაური (რაჭა).

ამ სოფელში არსებობს შკოლა, მისი არსებობა სოფელს არაფერში არგია. შკოლის უნაყოფობას ხელს უწყობს ამ შკოლის გამგის ვ. ბოკერიას მოქმედება. ვ. ბოკერია მოწაფეებსაც ცუდათ ეპყრობა და მასწავლებლებსაც.

ფოთი.

ფოთის სომეხთა შკოლის გამგე გვწერს: ცნობა ვითომც ჩვენ ქართული დასისთვის შკოლის შენობა არ გვეთხოვებიოს არ არის მართალი. შკოლის შენობა წარმოდგენის გასამართავათ ჩვენ დავუთმეთ ქართულ დასს, მაგრამ მან მაშინ წარმოდგენის გამართვა ვერ მოახერხა. შემდეგ კი გვთხოვა; მაგრამ საშკოლო დარბაზი უკვე რუსულ დასს ქონდა ნაქირავებიო.

ს. რიონი.

ქუთაისიდან მესამე ვერსზე, ჩვენი სოფლის გზაზე სოფ. ნოღაში უნახავთ სულმობრძავი ქალი, რომელიც იქვე მოსახლე ჰელიძისას წაუღიათ და გადაცვლილა. ქალი ამბობენ გოდოგნელი გლეხის ცოლი უნდა იყოსო.

დ. ხონი.

ხონის სამრევლო შკოლის გამგე ბ. ბაქრაძე მადლობას სწირავს ხონის ქალთა წრეს, რომელმაც ათი მანეთი გაიღო ხონის სამრევლო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლათ.

ეპისკოპოზ კირიონთან.

ის ადგილი, სადაც ეს შესანიშნავი ადამიანი—ეპისკოპოზი კირიონი, ცხოვრობს მდებარეობს სამ-ოთხ ვერსის მანძილზე ქალაქ სევასტოპოლიდან. ეს ხერსონის მონასტერია, სადაც, როგორც თვითონ პატივცემულმა კირიონმა გადმოგვცა, ძველ დროში არსებობდა ქართული კათედრა.

მონასტრის გალავანში, ზღვის პირას სდგას ერთ სართულიანი პატარა სახლი, რომელიც შეიცავს სამს ოთახს და სადაც, აგერ სამი წელიწადია, მარტოთ მარტო ღვიძლ ქვეყანასა და ნაცნობნათესავებს მოშორებული შრომობს სამშობლოსათვის და თავის ხალხისთვის თავდადებული პატიოსანი მოხუცი.

მოხუცის მყუდროებას არღვევს ხანდახან ახალგაზდობა—ქართველი სტუდენტობა, რომელიც მოვალეობათ რაცხს, როცა ქ. სევასტოპოლს ჩაუვლის, ინახულოს ეპ. კირიონი.

ასეთი მგზავრობა მოგვიხდა ამ დღეებში რამდენიმე ქართველ სტუდენტს. დილის 11 საათზე პირდაპირ გემიდან ორი ეტლით გავემგზავრეთ ხერსონის მონასტრისაკენ. მონასტრის კარებში შეგვხვდა მსახური, რომელსაც ქართულათ გამოველაპარაკეთ, რადგან ვიცოდით,—ამ ბოლო დროს კირიონთან ქართველი მსახურობდა. მაგრამ მსახური რუსი გამოდგა. ქართველი მსახური ჯარში გაუწვევიათ და ამაზე ძლიან სწუხს კირიონი.—ერთ კაცთან შეეძლო ქართული ლაპარაკი და ისიც აღარ ყავს.

რამდენიმე წუთს შემდეგ თვით კირიონიც გამობძანდა, მიგვიწვია ოთახში და ჩაით გაგვიმასპინძლდა. გაიმართა საუბარი.

— აგერ თვე ნახევარია ავათა ვარ,—გვითხრა ეპ. კირიონმა,—ნესტიანი ოთახებია ძალიან და ზღვიდანაც სულ ქარი ქრის.

— გაზეთებს იღებთ?

— მომდის, მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც „სახალხო გაზეთ“-ს აღარ მიგზავნიან. ამასწინათ მთხოვდენ, რომ „სახალხო გაზეთში“ და „იმერეთში“ დამეწერა რომ და ამით პატარა თანამშრომლობა გამეწია. ვნახოთ ეგებ რამე მივაწოდო.

— დეპუტატ გელოვანს მიაწვდით მასალებს ავტოკეფალიის შესახებ?

— ბევრი დაიწერა ამ საკითხის შესახებ, ჩამოვიდენ ჩემთან ზოგიერთი პირები რუსეთიდან; მერე მესამე სათათბიროს დეპუტატმა ცნობილმა კარაულოვმა, რომელსაც ერთმა მემარჯვენე ღვდელმა „каторжник“-ი დაუძახა, მითხრა: ,,თუ გნებავთ სათათბიროში ავტოკეფალიზე ვილაპარაკებთ, მაგრამ გარწმუნებთ, არაფერი გამოვაო.“ ახლაც ვერაფერს მივაწევთ, მაგრამ რაც შემიძლია, ვეცდები და ყოველივე მასალას მივაწვდი გელოვანს.

— ქართველ სტუდენტობაში ბევრია დასელები?—გვკითხა კირიონმა.

— სტუდენტობა თანდათან გონს მოდის და დღეს მომეტებული ნაწილი ესფერია.

— აპირობთ თქვენი წიგნის (Культурная роль Иверіи в исторіи Руси) მეორე გამოცემას?

— უნდა გამოვცე მე თვითონ, რადგანაც არავინ არის მსურველი, რომ გამოსცეს. პირველი გამოცემა ას სამოცი თუმანი დამიჯდა, მეორე ნაკლები დამიჯდება. წიგნში 800 გვერდი იქნება.

ამას შემდეგ კირიონმა გვაჩვენა ახალი დაწყებული შრომა—,,პატერიკი“ (რაიც ბერძნულათ ნიშნავს მამათა ცხოვრებას).

— ,,ყველაფერი ჩვენგან ქონიათ რუსებს. აი, ეს ,,პატერიკიც“ გადმოღებულია შიო მღვიმის მამათა ცხოვრებიდან“ სთქვა კირიონმა.

ჯერ დაწერილი აქვს ამ შრომის პირველი თავი; კიდევ სამი თავი აქვს დასაწერი, წიგნი 120 გვერდამდი იქნება.

— ,,მხოლოდ ეს არის ჩემი გაჭირვება, ბევრი დრო მიმდის გადაწერ-გადმოწერაში. გადამწერი არა მყავს, ასე რომ თვითონ უნდა დავწერო, გავასწორო და გადავწერო.

— ნუთუ ამოდენა მონასტერში არავინ არის, რომ მოიხმაროთ?—ვკითხეთ ჩვენ.

— ისეთი ბერებია, თავის სახელსა და გვარს ძლივს აწერენ და მე რას გამომადგებიან.

ჩამოვარდა ლაპარაკი თფილისის ქართულ სემინარიაზე. კირიონმა მაშინვე გამოგვიტანა ერთი წერილი რემინგტონზე დაბეჭდილი და უკვე გაზეთში დასაბეჭდათ გამზადებული. ვთხოვეთ ჩვენ ეს წერილი და კირიონმაც გადმოგვცა. საჭიროთ ვცანით წერილი მოთავსებულიყო ,,სახალხო გაზეთ“-ში, რადგან წერილი თფილისის სემინარიას შეეხებოდა. კირიონმა ბძანა,—,,ცალკე ბროშიურათ რო გამოიცეს ,,აჯობებსო“. დედანი რუსულათაა დაწერილი და ,,სახალხო გაზეთი“-ს რედაქცია კარგი იქნება, თუ ცალკე ბროშურათ გამოსცემს ამ შრომას...

პირველი საათი სრულდებოდა, როდესაც კირიონს გამოვემშვიდობეთ და ნასიამოვნები გავეშურეთ გემისაკენ.

სოსო ასლანიშვილი.

სამართლიანად მოიქცა. მან მხარი ვერ დაუჭირა ისეთ დეპუტატს, რომელიც ებრაელთ ვარშავიდან განდევნას პირდებოდა. ჩვენში კი სომხის ბურჟუებმა კადეტს ლ. ანდრონიკაშვილს არჩიეს ბ. ჩხეიძე. ორივე ეფიცებოდა მათ, რომ საქართველოს კერძო ინტერესების შესახებ კრინტს არ დავსძრავთო, მაგრამ მაინც ესდეკი არჩიეს უსათუოდ რაიმე დიპლომატიური მოსაზრებით, რომელსაც ძალიან გლახა სუნი უდის და რომელიც გულწრფელად გამოააშკარავა ერთმა მათგანმა ბ. ევანგულოვმა. სამწუხაროთ სომხის ბურჟუაზიის ამგვარმა მოქმედებამ შეიძლება ძალიან გაამწვავოს სომეხ-ქართველთა შორის დამოკიდებულება. ყოველ ღონეს დავეძებთ, რომ ამ ინცინდენტმა ცუდი ნაყოფი არ გამოიღოს. ჩვენ გვწამს, რომ ორივე მოძმე ერისათვის დამღუპველია ერთმანეთის გადაკიდება და თუ მაინცადამაინც სომხის ბურჟუაზია მოინდომებს ჩვენი პირადობის გაქელვას, ჩვენ ამას არ დავანებებთ და გვწამს, რომ ამ საქმეში ჩვენ უფრო მეტ დამხმარეს ვიშოვით ვიდრე იგინი. მაგრამ ჯერ-ჯერობით ვცდილობთ ეს სომხის ბურჟუაზიის ზოგიერთ ხელმძღვანელთა გაზვიადებული შედიდურებითა და პატივმოყვარეობით ჩადენილ შეცთომით ავხსნათ.

მერე ვილაპარაკეთ არჩევნების დროში ადმინისტრაციის „კანონიერ“ მოღვაწეობის შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ ის რაც დეპუტატმა მომიყვა რუსეთის შესახებ თუ წააჭარბებს, თვარა არაფრით ჩამოუვარდება ჩვენში მომხდარ ამბებს. მითხრა, რომ ვრცელ საკითხს წაადგენენ, თუმცა იმედი კი არ აქვთ, რომ რომელიმე არჩევნები დაირღვეს, რადგან ორი მესამედი ხმა დარღვევის სასარგებლოთ არ შეიკრიბება არაოდესო.

გამომშვიდობების დროს დეპუტატს სურვილი განვუცხადე, რომ საქართველოში ჩამოვიდეს და უფრო ახლო გაეცნოს ქართველ ინტელიგენციას.

მე ეგ უაღრეს საჭიროთ მიმაჩნია, მიპასუხა მან, უნდა გულახდილათ ვსთქვათ, რომ ჩვენ განაპირა ქვეყნების საჭირბოროტო საგნები ძალიან სუსტათ ვიცით და მიუცილებელი კია მათი კარგათ გაცნობა, ვინაიდან ცხოვრება მთელის სიმწვავით წინ გვიყენებს განაპირა ქვეყნების საკითხს.

——

სამწუხაროთ ჩემი წინასწარმეტყველება გამართლდა: კადეტები ოქტომბრისტებმა მოატყუეს: მემარჯვენეებს ყველაფერში დაუთმეს და ორიოდე კენჭის ყრის დროსთანაც მათთან ერთად აძლევდენ ხმას საკითხს. ამგვარათ ოქტომბრისტები იგივე რჩებიან მარად-და-მარად და რუსეთის პოლიტიკური ბორბლის ტრიალიც მათ ხელშია და ვიდრე ეს ასე იქნება ეს ბორბალი წაღმა არ დატრიალდება. კოკოვცოვისგან აღთქმული „რეფორმები“, რომლებიც ოქტომბრისტებისთვისაც მისაღებია არავითარ ხეირს არ შემატებენ, ბედკრულ ქვეყანას. კადეტების პირველი ნაბიჯი კი უთუოდ შემცთარი იყო და ოქტომბრისტების „ლაფიდან“ ამოთრევამ მათ ხელსაც მოცხო ცოტა ტალახი. ამ შემთხვევაში მშრომელთა ჯგუფმა და ესდეკებმა ბევრათ უფრო დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა გამოიჩინეს. მშრომელთა ჯგუფის ბიუროს თავჯდომარე ცნობილი კერენსკი ამბობდა: ჩვენ გვისაყვედურებენ კადეტები, ოპოზიციაში განხეთქილება შეგაქვთო! ჩვენ მზათა ვართ მონაწილეობა მივიღოთ კენჭის ყრაში და მხარი დაუჭიროთ კადეტებს პრეზიდიუმში, მაგრამ ვერ გავისვრებით და ვერავითარ მონაწილეობას ვერ მივიღებთ იმ პოლიტიკურ კომბინაციაში, სადაც ურევია მესამე ივნისის კანონით გაბატონებული პარტია და სტოლიპინის რეჟიმის კვერის დამკვრელი ჯგუფი (ოქტომბრისტები). ეს არათუ თეორიულათ სრულიად ლოღიკური, პრაქტიკულათაც უფრო აზრიანი გამოდგა. კადეტები პირში ჩალა გამოსმული დარჩენ და ტყუილა შერჩათ როძიანკოს არჩევნების სადღესასწაულოთ დასახვა.

იმერელი ამომრჩეველი.

არწივის სიმღერა.

ღრუბლით მოსილ შავ-მთის მკერდით
დავიბადე მე, არწივი;
შექმნის დღიდან პიტალო კლდით
მძლავრ სიმღერას გადმოვყივი!

შავი ნისლი თავს დამტირის,
ელვა-მეხი მემუქრება,
ქარიშხალი ყვირის მთებში
პირქუშ კლდე-ღრეთ ეხეთქება!

მაღლით დავსცქერ სამშობლოს ველს
ათასფერათ მოქარგულსა,
მაგრამ მტირალს, მტრისგან თელილს,
მწარე სევდით დადაგულსა..

შავბნელ ღამეს თვალით მცვევა
სინანულის მღუღარება...
განთიადზე ვყივი: „კმარა
საუკუნო მდუმარება!“

არ გუგუნობს ბრძოლის ცეცხლი,
ნაკადული გოდებს ხევში...
ჩემი მოთქმა იმარხება
ობოლ ცრემლათ მაღალ მთებში...

ხმალი არ სჭრის, ჩლუნგობს კლანჭი,
ზღვა არ ღელავს, მიყუჩულა...
ბარის ელჩათ მყინვარისკენ
მოისწრაფვის ღრუბლის ქულა...

სევდის მთებმა გამომზარდა,
თავს დამქროლა ქარიშხალმა,
კლდის ნაპრალში გამოკვეთა
ჩემი ბინა მუდმივ ძალმა!

მიქრის ჟამი, დღე ღამეს სცვლის,
ბნელი ნათელს ემუქრება—
და ჩემს მკერდში ბრძოლის ცეცხლი
არაოდეს არ ჩაქრება!

სვანელი.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთ. განყ-ის მოქმედება განათლების საქმეში.

წერა-კ. საზ. ქუთაისის განყოფილებას შემდეგ ადგილებში აქვს გახსნილი უფასო სამკითხველები: სვირში, სიმონეთში, ხრესილში, კურსებში, მუხიანაში, ქვიტირში, სუფსაში, წესში, დიმში, ბაღდათში, და ქუთაისში-არქიელის გორაზე.

აღძრული აქვს შუამდგომლობა სამკითხველების გახსნის თაობაზე: წყალისს, აგარას, დერჩს, ლაილაშს, ხიდისთავში, გოჩა-ჯიხაიშსა და მაღლაკში.

ბიბლიოთეკების გახსნის სურვილს კიდევ ბევრი უცხადებს ქუთაისის განყოფილებას სხვადასხვა შორეულ კუთხეებიდან, მაგრამ იგი ურჩევს მახლობელ განყოფილებების მფარველობის ქვეშ იყვნენ, რათა მათ უფრო მახლობელი მზრუნველობა და ხელმძღვანელობა ქონდეთ.

11 ზემორე ჩამოთვლილ სამკითხველოს განყოფილება უწერს თავის ხარჯით შემდეგ პერიოდულ გამოცემებს: ,,სახ. გაზეთს“, ,,მოსავალს“, ,,იმერეთს“, „ნაკადულს“ და ზოგსაც „ჯეჯილს“, „განათლებას“.

გარდა ამისა განყოფილება უწერს ქვემორე ჩამოთვლილ ოც შკოლას მთელ გუბერნიაში საბავშო ჟურნალ—„ჯეჯილს“ და „ნაკადულს“. სენაკის მაზრაში: ფოცხის ორკლასიან შკოლას, ეკისას, გეჯეთისას, კოდორისას. ზუგდიდის მაზრაში: ხობულის 2 კლასიან შკოლას, ნამაზენისას, ჭოლისას, საჯიჯაისას, კირცხისას. ოზურგეთის მაზრაში: საჯავახოს სამრევლო შკოლას. რაჭაში: უწერის სამ. შკოლას, თლუღისას. ლეჩხუმის: ტვიშის სამ. შკოლას, მექვენის, დერჩის ქუთაისის მაზრაში: ჯვარისის სამრ. შკოლას, წყნორისის, ხომულის, ახალქალის და აჭარა წყლის.

განყოფილება თავის სამკითხველოებს წიგნებითაც ეხმარება. მან უკვე გაუგზავნა ამათ თავიანთი და სხვების გამოცემული თითოს 15 მ. ღირებული ყდა გადაკრული წიგნები. აგრეთვე უყიდა ზოგაერთ ხელმოკლე სამკითხველოებს საანგარიშო დავთრები და წიგნების შესანახი შკაფები. აზრათ აქვს, თუ სახსარი ექნა, თავის სამკითხველოებს დაეხმაროს ერთნაირი ტიპის საბიბლიოთეკო სახლის აშენებაში, რისთვისაც იგი სამესამედოთ გაიღებს წვლილს, თუ ორ ნაწილს ადგილობრივი საზოგადოებანი იკისრებენ.

ომი ბალკანეთზე.

(გაზეთებიდან).

ადრიანოპოლში.

ადრიანოპოლიდან [illegible] ხეში მყოფთა აუწერელ მდგომარეობას ამბობენ, სურსათი ელევათ. ქალაქში შიმშილია, ჯარის კაცთა და ამათ უფროსებშიც ამბოხების სული ტრიალებს. ხმაა—ამას წინათ ჯარისკაცებმა ციხის უფროსის მოკვლაც განიზრახესო.

ეპირში.

კვიპროსელმა თავისუფალმა ჯარის კაცებმა თვალსაჩინო მონაწილეობა მიიღეს იანიანთან ბრძოლაში. ბევრი მათგანი მოკლეს და მათ რიცხვში გმირულათ თავი გასწირა საბჭოს ყოფილმა დეპუტატმა სოზოსმა; მეორე კრიტელი დეპუტატი ხაჯი ისანუსი დასჭრეს.

სალონიკში.

მეფე ფერდინანდის სალონიკში ყოფნის დროს, იქაური ებრაელების დეპუტაციამ სთხოვა მეფეს—ქალაქს ბერძნების მართველობის ქვეშ ნუ დასტოვებს, მეფემ დეპუტაცია მოწყალეთ მიიღო, მხოლოდ ქალაქის მართველობის შესახებ არაფერი უთქვამს.

მშვიდობიანობაზე სჯა.

ოსმალების საწინააღმდეგო წინადადებათ სერიოზულ მნიშვნელობას არ აძლევენ. ერთმა დელეგატმა ეს კონტრ-წინადადება ამ სახით განმარტა: ოსმალები ჩვენს წინადადებებს ცხადია წინ აღუდგებიან.

სერბიელები შუამავლობას იკისრებენ ჩვენ კი ვაჭრობას დავიწყებთ.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მოლაპარაკება არ შეწყდება დათხოვილი აფიცრების ჩატალჯაში გაწვევა იმით აიხსნება, რომ სურთ მოკავშირეების დელეგატები დააფრთხონ. მაგრამ ამას ჩვენ მნიშვნელობას არ ვაძლევთ.

სადაო მუხლი ორი იქნება: ა) საკითხი კუნძულებზე,—ეს საკითხი დიდ კამათს არ გამოიწვევს.

ოსმალეთი ოთხი კუნძულის დათმობაზე (დარდანელის შესავალში) პროტესტს განაცხადებს. მოკავშირენი კუნძულების მოთხოვნილებაზე ხელს აიღებენ.

ოსმალეთი აგრეთვე პროტესტს გააცხადებს მცირე აზიის მოსაზღვრე კუნძულების დათმობაზეც, რადგან ის საფრთხეს უქადის მცირე აზიაში მის მამულებს. აქ შესაძლებელია კომპრომისი. პირობას დაადებინებენ რომ ოსმალეთი დაუთმობს კუნძულებს და იქ ყველა სიმაგრეს გააუქმებენ.

შეურიგებელ საკითხათ დღეს ქ. ადრიანოპოლია.

ბულგარელები დაჟინებით გაიძახიან: ან ადრიანოპოლი, ანა და ისევ ომიო.

მოკავშირეებიც მხარს უჭერენ ბულგარეთს.

ოსმალეთის ერთმა დელეგატმა აღნიშნა ადრიანოპოლის ფრიად დიდი მნიშვნელობა ოსმალეთისთვის:—ადრიანოპოლი ჩვენი მოსკოვაა და როგორ გინდათ დაგითმოთო. იმის იმედი, ტყუილია რომ ადრიანოპოლი თავისნებით დაგმორჩილდებათო, ადრიანოპოლში დღეს კიდევ ორითვის სურსათი მოიპოვებაო.

ალექსი-მესხიშვილის იუბილეს სამზადისი.

საიუბილეოთ არჩეულთ კომიტეტი შემდეგი ბარათით მიმართავს ქართველ საზოგადოებას:

შარშან შესრულდა ოცდაათი წელიწადი, რაც ქართულ სასცენო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი სახელოვანი მსახიობი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი. იგი ეკუთნის იმ რჩეულთა ჯგუფს, რომელმაც ქართულ ხელოვნებას სული ჩაუდგა და მისი არსებობა უეჭველ ნიადაგზე დაამყარა.

ასეთი ხანგრძლივი სამსახური სამშობლოს საკეთილდღეოთ თავისთავად საპატიო და თაყვან-საცემია, მაგრამ თუ იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ ეს ღვაწლი გასხივოსნებული იყო იშვიათის ნიჭითა და ზეაღმაფრენ გრძნობათა მეტყველებით,—მაშინ თვალწინ წამოგვიდგება მთლიანად სიდიადე და ბუმბერაზობა ლადო მესხიშვილისა.

ლადო მესხიშვილის სახელთან შეერთებულია განცდა და წარმოდგენა უნაზეს და მაღალ გრძნობათა, რადგანაც იგი იყო და არის დღესაც ჩვენს სცენაზე ევროპისა და ჩვენი სადრამო ლიტერატურის საუკეთესო გმირთა სულის კვეთების უბადლო გამაპიროვნებელი და გადმომცემი.

კლასიკურმა რეპერტუარმა ჩვენს ხე-

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო ქუთაისში.
ალექსანდრეს ქუჩა, კოკოჩაშვილის სახლი.
მაქვს პატივი ვაუწყო ქუთაისისა და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთაც, რომ ვინაიდან დიდძალი საქონელი ნო მიგროვდა, ამა წლის 20 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდი გნიშნავ არაჩვეულებრივ
იაფ ვაჭრობას.
იმედია, საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს ჩემს სავაჭროს და, რო მობრძანდება, დარწმუნდება—რა იაფობაცაა იქ.

ფ. ს. ფილიპოვიჩ
ყოველ საქონელზე, რაც ჩემს სავაჭროში აწყვია ფასი შეუვაჭრებლათ
ვაჭრობა ნაღდზე.

სავაჭრო სახლი
ი. გოციელის შვ-ები
ქუთაისში.

27, 28, 29, 30 და 31 გაიყიდება
წვრილი კომფექცები დაკლებულ ფასებში.

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913
იმერეთი
წელიწადი მეორე 1913

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნომრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ივნისთვესაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სთუდენტობებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

ჩამოთვლილი პირობებით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში:

ქუთაისში—გაზ. იმერეთის კანტორაში, ივანოვის ქ., ჭილაძის სახლი; ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში"—ისიდორე კვიცარიძესთან, ქალაქის ბაღის პირდაპირ; ამბროსი ხვინგიასთან, საბაკალეინო სავაჭროში (ღულაძის მიდორზე) და თეთრი ხიდის თავში, მოვაჭრე ალიხანოვთან; ბაქოში—გრიგოლ ნიჟარაძესთან; ჭიათურაში—შილაკაძესთან, ფოთში—სიმონ ორაგველიძესთან, სამტრედიაში—ვ. ახობაძესთან, ზესტაფონში—ი. კაკაბაძესთან, ოზურგეთში—მოსე თალაკვაძესთან, სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან, ბათომში—გ. მახარაძესთან, ხაშურში—იოსებ ყაჭეიშვილთან, ხონში—წერა-კითხვის გ. ს. სევერიანე კაკაბაძესთან; ლანჩხუთში—ვ. კალანდაძესთან; სენაკში—ვ. კალანდაძესთან; აბაშაში—პლ. ლეჟავასთან; ჩოხატაურში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, ზუგდიდში—ნიკო ბერიძესთან და თფილისში—ჟურნალ-გაზეთების ბიუროსთან.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ", Антону Михаиловичу Челадзе.
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

ლოვნების ტაძარში ფეხი მოიკიდა მხოლოდ მისი წყალობით და დღესაც მხოლოდ იგია საუკეთესო ქურუმთაგანი, რომელსაც ძალუძს გამსჭვალოს მაყურებლის არსება დიადის გრძნობითა და გონება კი მაღალის აზრით აღძრას.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ლადო მესხიშვილი ყველა ქართველისთვის სათაყვანებელი სახელია და რომ თვით ხანთა შემოდგომაც კი უძლურია დავიწყების ჩრდილი მიაყენოს ამ სახელს.

რაღა თქმა უნდა, ასეთი ნაყოფიერი და სხივნართი მოღვაწეობა ოცდაათის წლის განმავლობაში საგანგებოთ აღუნიშვნელი ვერ დარჩებოდა. სწორედ ამიტომ ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობამ,—საზოგადო კრების დასტურის თანახმად,—განიზრახა იდღესასწაულოს ლადო მესხიშვილის მოღვაწეობის იუბილე.

გამგე კომიტეტმა, რომელიც შესდგა დრამატ. საზოგად. გამგეობის მოწოდებით,—იუბილე 1913 წლის 10 თებერვალს დანიშნა.

გავუწყებთ რა ამის, გამგე კომიტეტი გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ამ საიუბილეო დღესასწაულში და წინასწარ შეატყობინოთ კომიტეტს—რა სახით ინებებთ მონაწილეობას.

პროგრამა დღესასწაულისათვის თავის დროზე გაზეთებში იქნება გამოცხადებული. ხელს აწერენ:

საიუბილეო კომიტეტის თავჯდომარე, თავ. იოსებ ზაქ. ანდრონიკაშვილი, 23 წევრი კომიტეტისა, მოლარე, და მდივანი. პასუხი უნდა გაიგზავნოს ამ მისამართით: თფილისი, ქართულ. დრამ. საზ. გამგეობას, სასახლის ქ. თავ.-აზნაურ. ქარვასლა.

* * *

სახალხო უნივერსიტეტი.

კვირას, 16 დეკემბერს, ქალაქის თეატრში სახალ. უნ. თაოსნობით სამი ლექცია წაიკითხეს.

პირველად ბ-ნ გრ. ნასარიძემ ისაუბრა და მით თავისი ლექციები ნიადაგის შესახებ დაასრულა. ლექტორმა ლექციების მთელ წყებაში უნივერსიტეტის აუდიტორიას გააცნო ნიადაგი და მისი შემადგენლობა; ნიადაგის ქიმიური და ფიზიკური თვისებები, მისი ტემპერატურა და სინესტე; ნიადაგის ნასვრეტები და მისი გამსჭვირვალობა წყლისა და ტემპერატურის მხრით და სხვა. აქიმი ნასარიძის ლექციები თავისთავად სასარგებლო ცნობებს შეიცავდენ, მაგრამ აუცილებლად საჭირო იყო ლექტორს ამ განყენებულ ცნობებიდან პრაქტიკული, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსადეგი დასკვნათა მთელი რიგი გამოეყვანა, რაც ლექციების ნაყოფიერებას ერთი-ორათ გაადიდებდა.

მეორე ლექცია სახელმწიფოს უფლებიდან ბ-ნ გრ. გიორგაძემ წაიკითხა, რომელიც კარგა ხნის უნებურ დუმილს შემდეგ ამ სეზონში ეს მეორეთ გამოვიდა სახალხო უნივერსიტეტში. ამ ორ ლექციაში ბ-ნი გიორგაძე ფრიად საინტერესო საკითხებს არკვევდა: სახელმწიფოს და მისი უფლებრივ ნორმებს; ქვეშევრდომთა და უცხოელთა იურიდიულ უფლებებს და მოვალეობას; ამ უკანასკნელთა და სახელმწიფოს შორის არსებულ დამოკიდებულებას და ურთიერთობას; სახელმწიფოს მკვიდრთა დიფერენციაციას, მისი კლასებათ და წოდებათ დანაწილებას. ლექტორმა თვალი გადაავლო საშვალო საუკუნოებსა და იმ დროიდან წარმოშობილ ფეოდალიზმს. საილუსტრაციოთ ხშირათ მიმართავდა ხოლმე საქართველოს მიერ განვლილ ფეოდალურ ცხოვრებას, რომელიც, ლექტორის აზრით, მეტათ დიდ და საინტერესო, მაგრამ ჯერ კიდევ სრულებით შეუმუშავებელ მესალას იძლევა. მეცნიერებს აქ ფართე ასპარეზი და მდიდარი წყარო აქვთ, ფეოდალურ ეპოქის მრავალი ბნელ მხარეების გამოსარკვევათ და გასაშუქებლათ. ბ-ნმა გიორგაძემ განემარტა თავად-აზნაურების ახლანდელი მდგომარეობა საფრანგეთსა, ინგლისსა და შვეციაში, როგორც მთავარი დამახასიათებელი მდგომარეობა სხვა სასელმწიფოებისაც. მოიყვანა ვახტანგის კანონებიდან ადგილები თუ რამდენ კატეგორიათ იყოფოდა საქართველოში თავად-აზნაურობა და როგორ უყურებდენ თითოეულ მათგანს.

ვეცნობით რა უცხო ხალხთა და სახელმწიფოთა წარსულ და აწმყო მართვა-გამგეობის მდგომარეობასა და სისტემას, თავისთავად იბადება საკითხი მშობელ ქვეყნის მიერ განვლილ სახელმწიფოებრივ სტრუქტურის შესწავლისა, რის შესახებაც პატივცემულმა ლექტორმა შეძლებისდაგვარად ცნობების მოწოდება დაგვპირდა.

უკანასკნელი ლექცია ილია ჭავჭავაძეზე ბ-ნმა კიტა აბაშიძემ წაიკითხა, რომელსაც მხურვალე ტაშისცემით შეეგებენ. ლექტორმა ჩვეულებრივ მოხდენილად და მომხიბვლელი ენაწყლიანობით მთელი ერთი საათი ილაპარაკა ილიაზე, როგორც მოქალაქეზე, პოეტზე და ბელეტრისტ-მწერალზე, რომელიც თავის ნაწერებში ეროვნულ ჰანგებს ააჟღერებდა, სოციალურ საკითხებს არკვევდა და უნივერსალურ საკაცობრიო იდეებს ეხებოდა.

ამ ბოლო დროს ნახულ და აღმოჩენილ ილიას სხვადასხვა ნაწერებითა და ვარიანტებით ნათლად და უტყუარათ მტკიცდება ის აზრი, რომ ჩვენს ლიტერატურაში რეალურ მიმართულების პიონერი ილია არის და არსებული უკუღმართი ინსტიტუტის—ბატონყმობის წინაალმდეგ მასზე უწინ არავის უწერია. ბ-ნმა ლექტორმა ვრცლად იბაასა კაკო ყაჩაღზე, გლახის ნაამბობზე, ოთარაანთ ქვრივზე, კაცია ადამიანზე, განდეგილზე და ბოლოს იმით დაასკვნა, რომ ილიას დიადი და მრავალ-მხრივი პიროვნების, მისი, მშობელი ერის წინაშე განუზომელი ამაგი და სამსახურის სავსებით დაფასება თანამედროვე საზოგადოებას არ შეუძლია; ამას მხოლოდ მომავალი ისტორიკოსი მოახერხებსო. ლექტორი ცხარე ტაშისცემით დააჯილდოვეს. ფარი.

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე



იულიუს სარეპ
მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა
და
მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. დაბათომის მაზრისა ამ მშვენიერ ხანგძლივ ფარნებისა
იგა ი. ნ.
უფრთხილდით მიმსგავსებას
მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ტელეფონი № 18

ალექსანდრე კოსტავას
ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში
თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.
ახლათ მივიღეთ: კოსტუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი ტანისამოსი 25% ნაკლებ იყიდება, რადგანაც სეზონი გადის და ბევრი ჩამოგვჩა. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს" ძლიერ ხელმიმცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტუმო მატერია კაცებისათვის.

რა საჭიროა—სოფელში აშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოსტატიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ
ძმ. ე. და პ. სააკაშვილების
სავაჭროში, ქუთაისში.
(ბუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).
იყიდება ქურა (პლეტა), თუჯის ორი „კომფორკით" „დუხოვკით", სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ დაჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები მალიან ცოტა არის მოსული.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.